პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 44 (1214) | კვირა, 13 აპრილი, 1958 წ. | გამოცემის მე-14 წელი. | ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დამთავრდა სსრ კავშირის 1958 წლის პირადი პირველობა კრივში.

პირველობის ბოლო დღეს ფინალში გასული 20 საუკეთესო მოკრივე იბრძოდა პირველი-მეორე ადგილებისათვის. უმჩატეს წონაში ერთმანეთს შეხვდნენ ლენინგრადელი ვ. სტოლნიკოვი და მოსკოველი ვ. ბისტროვი. მსაჯებმა გამარჯვება ერთხმად მიანიჭეს სტოლნიკოვს, რომელმაც შეინარჩუნა ჩემპიონის წოდება.

მჩატე წონაში იბრძოდა ორი ჩემპიონი: სსრ კავშირისა — ბ. სტეპანოვი (მოსკოვი) და ევროპისა — ო. გრიგორიევი (მოსკოვი). დაძაბული ბრძოლის შემდეგ სტეპანოვმა დაკარგა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის წოდება, რომელიც მას 5 წლის გამნავლობაში ეპყრა.

ქვემსუბუქ წონაში რინგზე გამოვიდნენ ოლიმპიური ჩემპიონი ვ. საფრონოვი (მოსკოვის ოლქი) და პირველთანრიგოსანი მოკრივე ბ. ნიკანოროვი (მოსკოვი). ჩემპიონმა სძლია ახალგაზრდა მეტოქის წინააღმდეგობას და დაიკავა პირველი ადგილი.

მსუბუქ წონაში შეხვედრის დამთავრების შემდეგ ხმები მსაჯთა შეფასებაში გაიყო. მაგრამ უმეტესობამ გამარჯვება მიანიჭა გასული წლის ჩემპიონს ნ. სმირნოვს (მოსკოვი) რიგელ ა. ტუმინშთან.

უაღრესად დაძაბულ, საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობდა ოლიმპიური ჩემპიონის ვ. ენგიბარიანის (ერევანი) და ახალგაზრდობის III მეგობრული თამაშების ჩემპიონის რ. ტამულისის (კაუნასი) შეხვედრა პირველ ქვესაშუალო წონაში. გაიმარჯვა ენგიბარიანმა.

მეორე ქვესაშუალო წონაში გ. ბოიარშინოვმა (მოსკოვის ოლქი) დაამარცხა მოსკოველი ი. რადონიაკი. ლენინგრადელმა ვ. ვასინმა (პირველი საშუალო წონა) მოუგო ვ. ვორობიოვს (მოსკოვის ოლქი). მომდევნო წონითს კატეგორიაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა გ. შატკოვმა (ლენინგრადი) გაიმარჯვა ე. ფეოფანოვთან (მოსკოვი) შეხვედრაში.

ქვემძიმე წონაში ა. ლიასოტამ (მოსკოვის ოლქი) დაამარცხა ორენბურგელი ვ. პილშჩიკოვი, ხოლო მძიმე წონაში ჩემპიონი გახდა მოსკოველი ა. აბრამოვი, რომელმაც მოუგო ლ. სენკინს (მოსკოვი).

საქართველოს მოკრივეთაგან მესამე ადგილზე გამოვიდა ს. ჩატულიდი (მჩატე წონა).

• • •

**სურათზე:** მინსკელი ა. ზახუხინისა და თბილისელ ა. ჩატულიდის (მარჯვნივ) ბრძოლა.

ფოტო ნ. ვოლკოვისა.

# ირანელი მოკრივეები ბაქოში

კრივი მთელს ირანში შედარებით ახალი სახეობაა. იგი ძირითადად განვითარებულია მსხვილ სამრეწველო და კულტურულ ცენტრებში. ყოველწლიურად ტარდება ირანის მოკრივეთა შეჯიბრება ჩემპიონის სახელისათვის ორ ტურად. თავდაპირველად თამაშდება პირველობა ქალაქებში, ხოლო შემდეგ ეწყობა ირანის პირველობის ფინალური ტურნირი. აღსანიშნავია, რომ ირანის პირველობა ყოველთვის ემთხვევა „გაზაფხულის დღესასწაულს".

ირანის მოკრივეები საერთაშორისო სარბიელზე 1952 წელს გამოვიდნენ. მათ მიიღეს მონაწილეობა ჰელსინკის XV ოლიმპიურ თამაშებში. ირანის გუნდის წევრები ჯამშიდ აბადინი და პერტუს ნაზარბეკიანი დღეს იმ ნაკრების მწვრთნელები არიან, რომელიც გამოდის საბჭოთა კავშირში. უკანასკნელ ხანებში ირანელმა მოკრივეებმა ჩაატარეს ამხანაგური შეხვედრები გერმანიის ფედერალური რესპუბლიკისა და თურქეთის გუნდებთან.

ამჟამად ირანის გუნდი ემზადება II აზიური თამაშებისათვის და ამ მიზნით იგი ატარებს ამხანაგურ შეხვედრებს აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის გუნდებთან. ნაკრები გუნდი, რომლის შემადგენლობაშია 15 მოკრივე, ძირითადად დაკომპლექტებულია ორი კლუბის „ტაჯისა" და „ჯაფარის" სპორტსმენებისაგან.

10 აპრილს ირანელი მოკრივეები შეხვდნენ აზერბაიჯანელებს. უმჩატეს წონაში ირანის სამგზის ჩემპიონმა ი. ილხანოვმა დამარცხება განიცადა ბაქოელ ბაბანლისაგან. სტუმრების წარმატებით აღინიშნა ბრძოლა მჩატე წონაში — კ. კუციარმა მოუგო ქულებით აზერბაიჯანელ ბაირამ გამბარ ოღლის. მეორე ქულა მასპინძლებს მოუტანა სპორტის ოსტატმა გრიგორიანმა, რომელმაც დაამარცხა სადიხ ალექპერ ზადე. მსუბუქ წონაში ჰასან პაკენდამმა ქულებით მოუგო აზერბაიჯანის მრავალგზის ჩემპიონს, სპორტის ოსტატ მელჩინს.

საინტერესო ბრძოლა გაიმართა პირველ ქვესაშუალო წონაში ირანელ ვ. კაზარიანსა და ბაქოელ ბ. ყიფიანს შორის. ქულებით გაიმარჯვა ირანელმა. უკანასკნელი ქულა სტუმრების გუნდს მოუტანა ს. კირჯანიანმა. მან დაამარცხა აზერბაიჯანელი გასო. დარჩენილი შეხვედრები მოიგეს ბაქოელმა მოკრივეებმა: იონესიანმა დაამარცხა ამირ ჯავარი, ასლანიანმა — ხაჩატრიანი და აბასოვმა ფაიტომპური. მძიმე წონაში ირანელებს მოკრივე არ გამოუყვანიათ. ამრიგად, ცხრა წონითი კატეგორიიდან სტუმრებმა მოიგეს 4 შეხვედრა.

ირანის გუნდის პირველმა გამოსვლამ საბჭოთა კავშირში გვიჩვენა, რომ მოკრივეებს საკმაოდ კარგი ფიზიკური მომზადება აქვთ. ტექნიკურად ისინი არ არიან ისეთ დონეზე, როგორც ჩვენი მოკრივეები, მაგრამ სტუმრებს აქვთ ერთი მეტად კარგი თვისება — გამარჯვებისათვის იბრძვიან თავგამოდებით,

მ. პეიზელი,

* * *

15 აპრილს თბილისის „დინამოს" სტადიონზე ირანელი მოკრივეები შეხვდებიან თბილისის ნაკრებ გუნდს.

# დიდი მატჩი

10 აპრილს შედგა მატჩ-რევანშის XV პარტია. თეთრებით სმისლოვი თამაშობდა.

მსოფლიო ჩემპიონი XV პარტიაში კვლავ დაუბრუნდა თავის ნაცად დებიუტს — მეფის პაიკით დაწყებას. ბოტვინიკმა ისე, როგორც I და III პარტიებში კარო-კანის დაცვა აირჩია. სმისლოვმა არ მოინდომა თამაში კარგად დამუშავებული სქემების მიხედვით. მან მიმართა თეთრებისათვის თუმც უარეს, მაგრამ ნაკლებად შესწავლილ ვარიანტს. ეს გადაწყვეტილება სწორი იყო, იმიტომ, რომ სმისლოვს თავისი სატურნირო მდგომარეობა აიძულებს ითამაშოს მხოლოდმხოლოდ გართულებაზე.

არჩევანმა სმისლოვს წარმატება მოუტანა. მას მე-14 სვლის შემდეგ ზედმეტი პაიკიც ჰქონდა. მაგრამ, შემდგომ, ბოტვინიკმა მეთოდური თამაშით აღადგინა მატერიალური თანაფარდობა, თავისი ფიგურები შესანიშნავ პოზიციაზე განალაგა და 27-ე სვლიდან ინიციატივას დაეუფლა.

დებიუტმა მეტოქეებს ბევრი დრო წაართვა. ცაიტნოტში სმისლოვს დარჩენილ 20 სვლაზე 15 წუთი დარჩა, ხოლო ბოტვინიკს — 35. ცაიტნოტში ბოტვინიკი ავითარებდა იერიშს. პარტიის გადადების წინ მან მოიგო პაიკი.

აი, ასეთ მდგომარეობაში პარტია გადაიდო.

**მ. ბოტვინიკი**



**ვ. სმისლოვი**

11 აპრილს მოხდა მისი დამთავრება. კონვერტის გახსნისას გამოირკვა, რომ სმისლოვს არ ჩაუწერია კარგი სვლა. მაგრამ ბოტვინიკმა, რომლის უპირატესობა ძალზე დიდი იყო, ვერ გამოიყენა იგი. მან რამდენიმე სუსტი სვლა გააკეთა და პაიკი დაკარგა. მიუხედავად ამისა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მაინც საგრძნობ უპირატესობას ინარჩუნებდა.

რთულ ბრძოლაში ბოტვინიკი ბევრს ფიქრობდა. ამიტომ მან საბატიკ ცაიტნოტში დროს გადააცილა და წაგება ჩაეთვალა.

ამრიგად, ანგარიში გახდა 9:6 ბოტვინიკის სასარგებლოდ. დარჩენილ 9 პარტიაში ბოტვინიკს გამარჯვებისათვის სჭირდება 3,5 ქულა, ხოლო სმისლოვს მსოფლიო ჩემპიონობის შენარჩუნებისათვის 6 ქულა.

გუშინ ბოტვინიკის ავადმყოფობის გამო არ შედგა XVI პარტია.

# აგებდნენ 0:3... მოიგეს 4:3

**საბჭოთა კავშირის 1958 წლის პირველობა წყალბურთში**

როცა თბილისის „დინამოსა" და ლენინგრადის „ბურევესტნიკის" თამაში დაიწყო, ნათელი შეიქნა ლენინგრადელთა ტაქტიკური ჩანაფიქრი. ისინი ბურთს დიდხანს ათამაშებდნენ იმ მიზნით, რომ გადამწყვეტი ტყორცნისათვის „დინამოს" კართან გაეყვანათ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი წყალბურთელი მარკაროვი. მაგრამ ამ უკანასკნელს მჭიდროდ იჭერდა ზ. ჩაჩავა, რომელიც არ აძლევდა მას თავისუფალი მოქმედების საშუალებას. მე-4 წუთზე მსაჯმა თამაშიდან გაიყვანა თბილისელთა ერთ-ერთი მოთამაშე, მაგრამ მოწინააღმდეგემ ვერ გამოიყენა რიცხვობრივი უპირატესობა და როცა გუნდების ძალები გათანაბრდა (ლენინგრადელებიც ექვსნი დარჩნენ) გვახარიამ მოულოდნელი და უძლიერესი ტყორცნით გახსნა ანგარიში. მალე ლენინგრადელებმა საპასუხო გოლი გაიტანეს და თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ — 1:1.

მატჩის მეორე ნახევარში კვლავ დაძაბული ბრძოლები მიმდინარეობდა წარმატების მოპოვებისათვის. მე-5 წუთზე თბილისელებმა ანგარიში თავიანთ სასარგებლოდ გაზარდეს — 2:1. ხოლო სამი წუთის შემდეგ ჩიქვანაიამ 4-მეტრიანი საჯარიმოდან მესამე ბურთიც გაიტანა. დარჩენილ დროში „ბურევესტნიკის" წყალბურთელებმა მხოლოდ ერთი ბურთის გაქვითვა მოახერხეს და ეს საინტერესო მატჩი მოიგო თბილისის „დინამომ" — 3:2.

ამ დღეს თბილისის „ბურევესტნიკმა" კვლავ განიცადა დამარცხება. ამჯერად მან წააგო მატჩი კასპიის ფლოტილიის გუნდთან — 1:14, ლენინგრადის „ვოდნიკმა" მოუგო ლვოვის „დინამოს" — 4:2, მოსკოვის „დინამომ" — კიევის „ბურევესტნიკს" — 3:1, ცსკმო-მ — მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდს — 4:2, მოსკოვის გუნდების „ტორპედოსა" და „შრომითი რეზერვების" გუნდების მატჩი დამთავრდა პირველის გამარჯვებით ანგარიშით 3:1.

მეოთხე კალენდარული დღის მატჩებიდან ყველაზე საინტერესო იყო თბილისის „დინამოსა" და ლენინგრადის „ვოდნიკის" მატჩი, რომელიც თავიდანვე ლენინგრადელთა ენერგიული იერიშებით დაიწყო. პირველსავე წუთებზე თბილისელთა მეკარე კლიმენკოს დაუდევრობით (აღსანიშნავია, რომ მან ეს მატჩი მეტად სუსტად ჩაატარა) ლენინგრადელებმა ზედიზედ გაიტანეს 2 ბურთი, რასაც მე-6 წუთზე მესამეც მიუმატეს. თითქოს მატჩის ბედი გარკვეული იყო, მაგრამ თბილისელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ არა თუ დაჰკარგეს ფარ-ხმალი, არამედ ხელთ იგდეს ინიციატივა და ენერგიულად შეუტიეს მოწინააღმდეგეს. შესვენებამდე დინამოელებმა მშრალ ანგარიშს დააღწიეს თავი.

შესვენების შემდეგ სურათი არ შეცვლილა — თბილისის გუნდი მეტოქეს უტევდა მთელი შემადგენლობით. მეორე წუთზე ლენინგრადის გუნდი აშკარა გოლისაგან თავიანთი კარის ძელმა გადაარჩინა, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ ზ. ჩაჩავამ აიძულა მოწინააღმდეგე თამაში ცენტრიდან დაეწყო. ამის შემდეგ „ვოდნიკის" წყალბურთელები შეეცადნენ ერთმანეთისათვის ბურთის გაუთავებელი გადაცემით დრო გაეყვანათ, რაშიც მათი მეკარეც მონაწილეობდა. მაგრამ მოსკოველმა მსაჯმა ბლიუმენტალმა ეს დროზე აღკვეთა და ბურთი გასათამაშებლად გადასცა თბილისელებს, რომლებიც მაშინვე ეკვეთნენ მეტოქის კარის მისადგომებს და გვახარიამ ანგარიში გაათანაბრა — 3:3. მაგრამ მატჩის ფრედ დამთავრება როდი აწყობდათ თბილისელებს, ისინი კვლავ ცდილობდნენ ახალი წარმატების მოპოვებას. თამაშის ბოლოს ბართაიამ გაიტანა გადამწყვეტი ბურთი და დინამოელებმა მოიგეს მეტად ძნელი მატჩი — 4:3.

ამ დღეს მოსკოვის „დინამომ" დაამარცხა ლვოვის თანაკლუბელები — 5:3, ლენინგრადის „ბურევესტნიკმა" — თბილისის „ბურევესტნიკი" — 9:2, ცსკმო-მ — კიევის „ბურევესტნიკი" — 4:1. მოულოდნელი იყო მოსკოვის გუნდების — „ტორპედოსა" და სახელმწიფო უნივერსიტეტის თამაშის შედეგი, რომელშიც გამარჯვება მოიპოვეს სტუდენტებმა.

მეხუთე კალენდარულ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის გუნდები „დინამო" და „ბურევესტნიკი". გაიმარჯვეს დინამოელებმა — 7:1.

გ. გვაზავა,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

## დღეს თბილისში

„დინამოს" სტადიონზე შედგება „ბ" კლასის ფეხბურთელთა ტურნირის პირველი კალენდარული მატჩი. ერთმანეთს შეხვდებიან თბილისის გუნდები

ოსკ-ა

და

„ბურევესტნიკი"

დასაწყისი 5 საათზე.

## ახალი სისტემით მოპოვებული წარმატებები

გასულ სპორტულ სეზონში ბათუმის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა და ცალკეულმა სპორტსმენებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს როგორც საოლქო, ისე რესპუბლიკურ პირველობებში. გაუმჯობესდა ბევრი რეკორდი, ჩვენმა სპორტსმენებმა საკმაოდ მაღალი შედეგები აჩვენეს საქართველოს ჩემპიონატებში, ამხანაგურ შეხვედრებსა და საქალაქთაშორისო მატჩებში. ყოველი მათგანის ჩამოთვლა საკმაოდ შორს წაგვიყვანდა ჯერ ერთი და შემდეგ, ქალაქის ფიზკულტურული ორგანიზაციები და მოწინავე სპორტსმენები ახლა შედიან ფორმაში. გასული სეზონის შედეგები კი გავიხსენეთ ერთ მოვლენასთან დაკავშირებით, რომლის შესახებ გვსურს ვესაუბროთ გაზეთის მკითხველებს.

წარმატებები, რომლებიც მოიპოვეს ჩვენი ქალაქის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა 1957 წელს, გამოწვეული იყო იმ სასარგებლო ზეგავლენით, რაც ქალაქის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა განიცადეს — სპორტული კალენდარის გარდაქმნის შესახებ ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის ბრძანების გამოსვლის შემდეგ. ჩვენ, ჯერ კიდევ 1956 წელს, გარდავქმენით სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი ახლებურად და რა გამოვიდა? თუ 1945 წლიდან 1955 წლამდე ბათუმში მომზადდა მხოლოდ ერთი სპორტის ოსტატი, ახალმა სისტემამ ეს ციფრი ექვსამდე გაზარდა.

აი, როგორ შევადგინეთ სპორტულ ღონისძიებათა ახალი კალენდარი. მაგალითისათვის ავიღოთ სპორტის რომელიმე სახეობა, ვთქვათ მძლეოსნობა. ფიზკულტურის ძირეული კოლექტივები ატარებენ შეჯიბრებებს რამდენიმე ტურად. ამაზე მათ ეძლევათ გარკვეული დრო. შიდასაკოლექტივო შეჯიბრებების ჩატარების შემდეგ (ვთქვათ იგი მოეწყო ორ ტურად) ორგანიზაციები იღებენ სპორტსაზოგადოების პირველობაში მონაწილეობის უფლებას. აქ გამარჯვებული გუნდი ან რამდენიმე კოლექტივი დაიშვება უკვე საქალაქო პირველობაზე. უნდა ითქვას ისიც, რომ ჩვენ სპორტის ზოგიერთ სახეობაში შეჯიბრებები ჩავატარეთ რამდენიმე წრედ, უმეტესად კი ორ წრედ. პირველ ტურს როგორც წესი, ვაწყობთ წლის პირველ ნახევარში, ხოლო მეორე ტურს — მეორე ნახევარში. გამარჯვებული მჟღავნდება ტურების დამთავრების შემდეგ.

ამას გარდა, ქალაქის ფიზკულტურული კოლექტივები დაყოფილნი არიან 4 ჯგუფად. პირველ ჯგუფში შევიყვანეთ დიდი ფიზკულტურული კოლექტივები, ისეთები სადაც 100 და მეტი სპორტსმენია გაერთიანებული. მეორე ჯგუფში მოხვდნენ ნაკლებად ძლიერი საწარმოო ორგანიზაციები და მცირერიცხოვანი ფიზკულტურული კოლექტივები, რომლებსაც შეჯიბრებებში მონაწილეობის დროს სხვა, მის მსგავს კოლექტივთან გაერთიანების უფლება ეძლევა. მესამე ჯგუფში არიან სასკოლო ორგანიზაციები, ხოლო მეოთხეში საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლები. ამრიგად, პირველ ჯგუფში ჩვენ გვყავს 24 კოლექტივი, მეორე ჯგუფში — 69, მესამეში — 24 და მეოთხეში — 6 კოლექტივი. საქალაქო შეჯიბრებები ტარდება ამ ჯგუფების მიხედვით, ხოლო ჯგუფებში — ტურებად ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის. ამას გარდა განზრახული გვაქვს (მაგრამ არა ყველა სახეობაში) შეჯიბრებების მოწყობა ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა ნაკრები გუნდებისათვის. ეს სისტემა დაახლოვებით ასე გამოიყურება:

ფრენბურთი

ძირეული კოლექტივები

I ტური — 15/I-მდე, II ტური — 15/II-მდე, III ტური—15/III-მდე.

სპორტსაზოგადოების პირველობა

I ტური — 15/II-მდე, II ტური — 15/III-მდე, III ტური—15/IV-მდე.

ქალაქის პირველობა

I ტური — 15/III-მდე, II ტური— 15/IV-მდე, III ტური — 15/V-მდე.

როგორც ხედავთ ფრენბურთელები (ასევე სპორტის სხვა სახეობის წარმომადგენლები) მთელი წლის განმავლობაში მოქმედებაში არიან. ეს სისტემა იძლევა მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენების მომზადების რეალურ საშუალებას. აი, სწორედ ამით მივაღწიეთ ჩვენ 1957 წელს 6 სპორტის ოსტატის და 85 პირველთანრიგოსნის მომზადებას.

მაგრამ ყველაფერი ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ახალმა სისტემამ უმტკივნეულოდ ჩაიარა და რომ ჩვენ არ აღმოვჩნდით სიძნელეების წინაშე. ასე მაგალითად: ბათუმში ძალზე ცოტაა ისეთი კოლექტივი, რომელსაც შეუძლია შიდასაკოლექტივო გუნდური ხასიათის შეჯიბრების ჩატარება. ამიტომ ისინი ატარებენ მხოლოდ პირად პირველობას, რის შემდეგაც დგება ნაკრები გუნდი საზოგადოების პირველობაში მონაწილეობის მისაღებად. ბრძანების მიხედვით კი ამ პირველობაში უნდა მონაწილეობდეს ძირეულ კოლექტივებში გამარჯვებული და არა პირველ ადგილზე გამოსულთაგან შედგენილი გუნდი.

აი კიდევ ერთი შეუსაბამობა — სპორტსაზოგადოება „სპარტაკს“ ჰყავს ფიზკულტურის 15 კოლექტივი მთელს აჭარაში, მათ შორის 14 ბათუმშია. ამ რიცხვიდან მხოლოდ ერთი კოლექტივი — „აჭარპრომსოვეტისა“ მონაწილეობს პირველ ჯგუფში, ხოლო 13 დანარჩენი თავიანთი ნიშნებით მეორე ჯგუფში არიან მოხვედრილნი. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ერთმა გუნდმა, წინასწარი შეჯიბრებების გარეშე მონაწილეობა უნდა მიიღოს პირველი ჯგუფის შეჯიბრებაში. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ახალ სისტემას ხელს უშლის კოლექტივების წევრთა მცირე რაოდენობა, რის გამოც მათ საშუალება არა აქვთ იყოლიონ ნაკრები გუნდები.

უხერხულობას ქმნის ისიც, რომ მსაჯთა სიმცირის გამო ფერხდება შეჯიბრებათა მაღალკვალიფიციური მსაჯებით უზრუნველყოფა. ასე მაგალითად, მარტში მოგვიხდა ფრენბურთელთა საქალაქო პირველობის ჩატარება, II და III ჯგუფებისათვის, რომელშიც 44 გუნდი გამოდიოდა. მსაჯთა სიმცირის გამო მათ დღეში 3-4 შეხვედრის ჩატარება უხდებოდათ, რაც არანორმალურ მდგომარეობას ქმნიდა.

უნდა ითქვას ისიც, რომ ახალი სისტემის შესახებ ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის ბრძანება ბათუმმა მიიღო დაგვიანებით. ამან ხელი შეგვიშალა კალენდრის უფრო დახვეწასა და დაზუსტებაში.

**გ. ურუშაძე,**
ბათუმის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე.

## საკოლმეურნეო კლუბში

სოხუმის რაიონის სოფელ გულრიფშის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის კლუბში მოეწყო ძალოსანთა სამატჩო შეჯიბრება გარეუბნისა და აფხაზეთის „კოლმეურნეს“ ნაკრებ გუნდებს შორის. გარეუბნის რაიონის ძალოსანთა გუნდში შედიოდნენ სპორტის ოსტატი ა. გრიგორიანი, საქართველოს 1958 წლის ჩემპიონები შ. კაცობაშვილი, ი. ყუბანეიშვილი და სხვები. აფხაზეთის გუნდი დაკომპლექტებული იყო ახალგაზრდა მზარდი ძალოსნებით. როგორც მოსალოდნელი იყო გამარჯვება მოიპოვეს თბილისის გარეუბნის რაიონის ძალოსნებმა.

**პ. გოგიძე.**

## ტურიზმი დასვენების დღეს

მთელი კვირის განმავლობაში გონებრივი და ფიზიკური შრომის შემდეგ ადამიანის ჯანმრთელობისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს კვირა დღით ქალაქგარეთ გასვლას და აქტიურ დასვენებას. ეს მრავალგზისაა დამტკიცებული ჩვენი გამოჩენილი ფიზიოლოგების მიერ. აქტიური დასვენება სწრაფად აღადგენს შრომისუნარიანობას, ფიზიკურად აკაჟებს სხეულს.

ამას გარდა, ასეთი ერთდღიანი ტურისტული გასვლები მშრომელებს საშუალებას აძლევს გაეცნონ კულტურის ძეგლებს, მუზეუმებს, ჩვენი ქვეყნის ღირსშესანიშნავი, წარმტაცი ბუნების მქონე ადგილებს.

მოსწავლეებს ლაშქრობაში შეუძლიათ შეაგროვონ მეტად საინტერესო კოლექციები, რის საფუძველზეც შეიძლება სკოლაში მოეწყოს მხარეთმცოდნეობის კუთხე, რომელიც დაეხმარება მათ სამშობლო მხარის ისტორიის, გეოგრაფიის, გეოლოგიის, ფლორისა და ფაუნის შესწავლაში და ა. შ.

ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის კულტივირებული და ორგანიზაციული სახე არ აქვს ერთდღიან ტურისტულ ლაშქრობებს. რუსეთში კი ეს სასარგებლო ღონისძიება უკვე მტკიცე საფუძველზე დგება. ჯერ კიდევ 1951 წელს ჩატარდა ჩრდილოეთ ურალში ა. ქ. მეროვის სახელობის ქარხანაში ასეთი ექსკურსია-ტურისტული ლაშქრობა დასვენების დღეს, რომლის ორგანიზატორები ადგილობრივი კომკავშირული და პროფკავშირული კომიტეტები იყვნენ. მას შემდეგ აღნიშნულ ქარხანაში სისტემატურად ატარებენ ტურისტულ ლაშქრობებს და ტურისტული დასვენების დღეებს.

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ 1958 წ. 12 მარტის ნომერში გამოქვეყნებულია ნ. შაგინას წერილი, რომელშიც ავტორი მოგვითხრობს ლენინგრადის მშრომელთა მიერ ორგანიზებული ტურისტული დასვენების დღის შესახებ. ფაბრიკა „სკოროხოდმა“ სპეციალურად მოაწყო ომჩინოს ტბასთან კარვების ქალაქი, სპორტული ბანაკის სახით, რითაც მძლავრი ბაზა შეუქმნა საწარმოს მშრომელებს ტურიზმის სისტემატური ჩატარებისათვის. ასევე, ვოლოდარსკის სახელობის ფაბრიკამ თანამშრომელთათვის მოაწყო სპორტული ბაზა, სადაც მოწყობილია საწოლები, საჭირო ნივთები და სამზარეულოს მოწყობილობა.

ამ ინიციატივამ სათანადო გამოხმაურება ჰპოვა ლენინგრადის სხვა საწარმოებში და ახლა მას ბევრი მათგანი მისდევს: აგებენ კარვის ქალაქებს, დასასვენებელ სახლებთან არსებულ ზაფხულის პავილიონებს, მსუბუქ ასაწყობ სახლებს, რაც დიდ ხარჯებს არ მოითხოვს, სამაგიეროდ ათიათასობით მშრომელს საშუალებას მისცემს ნაყოფიერად გამოიყენონ ზაფხული თავის ჯანმრთელობის გასაკაჟებლად.

თბილისის ფიზკულტურის კომიტეტთან არსებულ ტურისტულ სექციას გადაწყვეტილი აქვს მიმდინარე სეზონშივე გადმონერგოს ეს გამოცდილება და ამთავითვე მოუწოდებს ქალაქის წარმოება-დაწესებულებებს, მათ ხელმძღვანელობას ყოველნაირად შეუწყონ ხელი ამ შესანიშნავი საქმის ხორცშესხმას.

ვისაც სურს გაიცნოს სამშობლო მხარე, დაისვენოს სამსახურეობრივი შრომის შემდეგ ნორმალურად და ეფექტიანად, მან აუცილებლად უნდა მისდიოს ტურიზმს და მის საუკეთესო, სისტემატურობის მქონე ფორმას — ტურიზმს დასვენების დღეს. საქართველოში წლის ყოველ დროს არის საშუალება შერჩეულ იქნას მარშრუტი ერთდღიანი ტურიზმისათვის. ამასთან, საქალაქო ტურისტულ სექციას [illegible] მიაჩნია ქალაქის წარმოება-დაწესებულებებში, [illegible] უმაღლეს სასწავლებლებში, ტექნიკუმებსა და საშუალო სკოლებში ტურისტული სექციების ჩამოყალიბება, რომლებიც ადგილებზე სათავეში ჩაუდგებიან საინტერესო ტურისტულ ღონისძიებებს.

თბილისის მშრომელებს განსაკუთრებით ხელშემწყობი პირობები აქვთ ქალაქგარეთ დასვენების დღის შესანიშნავი გატარებისათვის და ეს პირობები ჯეროვნად უნდა იქნეს გამოყენებული.

უნდა ითქვას, რომ ერთდღიანი ტურისტული დასვენებისა და ლაშქრობისათვის სათანადო ბაზები ნაწილობრივ ჩვენ გვაქვს კიდევაც: ბეთანია, არმაზი, შიო მღვიმე, ზედაზენი, ჯვარი, მარტყოფი, თბილისის ზღვა, ლისის ტბა და ა. შ. მაგრამ თუ, ერთის მხრივ, ზედაზნის, შიო მღვიმისა და ბეთანიის ლამისსათევ ბაზებს კაპიტალური შეკეთება სჭირდებათ, სხვაგან მათი თავიდან შექმნა და მოწყობაა საჭირო. სხვათაშორის, საქართველოს კულტურის სამინისტროსთან არსებული სიძველეთა დაცვის განყოფილება ამ ამბავს ნაკლებ ყურადღებას აქცევს.

დასვენების დღის ერთდღიანი ტურიზმისათვის მოგვყავს სარეკომენდაციო მარშრუტები:

1. თბილისი-წყნეთი (ავტობუსით)-ახალდაბა-თავშესაფარი-ბეთანია.
2. თბილისი-ზაჰესის ბაქანი (მატარებლით)-კარსანი-არმაზი.
3. თბილისი-ზაჰესი (მატარებლით)-ჯვარის მონასტერი-წიწამური-მცხეთა.
4. თბილისი-ზაჰესი (მატარებლით)-ზედაზენი-საგურამო.
5. თბილისი-მცხეთა (მატარებლით)-საგურამო.
6. თბილისი-ძეგვი (მატარებლით)-შიო მღვიმე.
7. თბილისი-გორი (მატარებლით)-სტალინის სახელობის მუზეუმი-გორისციხე-გორიჯვარი.
8. თბილისი-სადგ. უფლისციხე (მატარებლით)-ძველი ქალაქი უფლისციხე.
9. თბილისი-მარტყოფი (ავტობუსით)-მარტყოფის სიძველეთა დათვალიერება-მარტყოფის მონასტერი.
10. თბილისი-წყნეთი-მთა უძოფუნიკულიორის პლატო.

კიდევ მრავალი მსგავსი მარშრუტის გამომუშავებაა შესაძლებელი თბილისის მიდამოებში, რაც დედაქალაქის მშრომელთა ტურისტულ ღონისძიებებს უფრო მრავალფეროვანსა და სასარგებლოს გახდიდა.

**გ. ახმეტელაშვილი,**
თბილისის ტურისტული სექციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სპორტის ოსტატი.

ფიზკულტურის მოწინავე მუშაკები

## მასწავლებელი ენთუზიასტი

მიმდინარე წლის მარტის პირველ რიცხვებში მოსწავლე მოფარიკავეთა რესპუბლიკური პირველობა მიმდინარეობდა. შეჯიბრება მხოლოდ სპორტული ბრძოლების სიმძაფრით როდი გამოირჩეოდა, არამედ სამსაჯო მომსახურების ნაყოფიერებითაც, რაშიც დიდი წვლილი შეჰქონდა სპორტის ენთუზიასტის, ზესტაფონის მე-3 საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლის — ა. კვესიტაძის მიერ გამოგონებული მეტად მოსახერხებელ სამსაჯო აპარატურას. როგორც ცნობილია, დღემდე მოფარიკავეთა ბრძოლების მსვლელობა და შედეგები მეტად პრიმიტიულად აღინიშნებოდა — დაფაზე ცარცით ხაზების ჩამოსმით, რაც ამა თუ იმ სპორტსმენის მიერ ჩხვლეტის მილებას გულისხმობდა. ეს მოუხერხებელი იყო როგორც მაყურებელთათვის, ისევე თვით მონაწილეთათვისაც. ა. კვესიტაძის აპარატურა ორმხრივ განლაგებული ხუთ-ხუთი ნათურისაგან შედგება, რომელთა ერთი მწკრივი ერთ-ერთი მებრძოლი მოფარიკავის ჩხვლეტების აღნიშვნისათვისაა გათვალისწინებული, ხოლო მეორე მწკრივი — მისი მეტოქის ჩხვლეტების აღნიშვნისათვის. ნათურები მიყენებული ჩხვლეტების მიხედვით თანმიმდევრულად ინთება და როცა უკანასკნელი — წითელი ნათურაც განათდება, დარეკავს ავტომატურად ჩართული ზარი, რომელიც ბრძოლის დასასრულს გვაუწყებს. ყოველივე ამით მაყურებელთათვის და მებრძოლთათვის თვალსაჩინო ხდება ბრძოლის მსვლელობა და შეჯიბრების მდივნის მუშაობაც გამუდმებით საზოგადოების კონტროლს ქვეშაა. ახალი აპარატურა (ზოგიერთი შესწორებით) მოწონებულ იქნა ფარიკაობის რესპუბლიკური სექციისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის ფარიკაობის კათედრის მიერ.

თვრამეტი წელია ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საქმეს ემსახურება ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებული ანდრო კვესიტაძე. იგი მთელ თავის ცოდნასა და გამოცდილებას შემოქმედებითად ახმარს მოსწავლეთა სპორტულ-ტექნიკური მომზადების ამაღლებას, ბაზების კეთილმოწყობას.

ზესტაფონის მე-3 საშუალო სკოლაში მისი ინიციატივით კეთილმოწყობილი იქნა ფრენბურთისა და კალათბურთის საუკეთესო მოედნები, მძლეოსნური სექტორი, საჭიდაო სარბიელი და ა. შ. სკოლაში ჩამოყალიბებულია ტანვარჯიშის, ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, ჭადრაკის, ფარიკაობის და ქართული ჭიდაობის სექციები, რომელთა აღზრდილები სისტემატურად მონაწილეობენ საქალაქო და სარაიონო შეჯიბრებებში და საპრიზო ადგილებს იკავებენ. ყოველივე ამის შედეგად სკოლას მიღებული აქვს განათლების განყოფილებისა და რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის 25 სიგელი, ხოლო მასწავლებელი დაჯილდოებულია 16 სიგელით.

ა. კვესიტაძე აქტიურად მონაწილეობს აგრეთვე რაიონის ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობაში.

ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობაში ა. კვესიტაძის ნაყოფიერი შრომა სათანადოდ დაფასდა — მიმდინარე წელს იგი საქართველოს განათლების სამინისტრომ დააჯილდოვა სამკერდე ნიშნით — „სახალხო განათლების წარჩინებული“.

**ს. ტალახაძე**

* * *



სურათზე: ა. კვესიტაძე თავის გამოგონებულ აპარატთან.

# ფეხბურთი

## სამი მატჩი და თერთმეტი ბურთი



1:4!

ამ ანგარიშით წააგო თავისი მორიგი მატჩი საბჭოთა კავშირის პირველობაზე ფეხბურთში მოსკოვის „სპარტაკთან“ თბილისის „დინამომ“. განვლილ სამ ტურში თბილისელებმა დააგროვეს მხოლოდ 2 ქულა, მოწინააღმდეგეთა კარში გაიტანეს 4 ბურთი, ხოლო საკუთარში მიიღეს 11. ე. ი. საშუალოდ ყოველ თამაშში „დინამოს“ კარში გადის თითქმის 4 ბურთი, გათამაშების სტარტზევე დაკარგულია 4 ქულა.

ერთი სიტყვით, შედეგები მეტად სავალალოა. თუ არ ჩავთვლით თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდთან შედარებით კარგად ჩატარებულ მატჩს, თბილისის „დინამო“ ერთობ არასახარბიელო შთაბეჭდილებას ტოვებს. გუნდი სუსტია.

მაგალითად, სარეცენზიო მატჩში დინამოელებმა ნამდვილი ფეხბურთი აჩვენეს მხოლოდ პირველი 10 წუთის განმავლობაში. როგორც კი დაიწყო თამაში, „დინამოს“ თავდამსხმელებმა სწრაფად შეუტიეს მოწინააღმდეგის კარს მარცხენა ფრთიდან, რამდენიმე კომბინაცია იქნა გათამაშებული მესხისა და მელაშვილის მონაწილეობით, ნახევარდაცვაწინ იყო წაწეული შეტევის უშუალო მხარდაჭერისათვის, ახლოდან დარტყმული ორი ბურთი აცდა კარს.

გავიდა 10 წუთი და თბილისელთა ენერგია თითქოს სავსებით ამოიწურა. თავდასხმაში დაიწყო ბურთის უაზრო ტარება, ზედმეტი გაჩერება, ყოვლად უსარგებლო და არაზუსტი გადაცემები. იშვიათად, რომ ბურთი ერთი მოთამაშიდან მეორემდე მისულიყო საჭირო მისამართით და თავის დროზე. მელაშვილმა მხოლოდ ერთხელ დაარტყა კარში და ბურთი ძელს მოხვდა, დანარჩენი დროის მანძილზე იგი მიმალული იყო „სპარტაკის“ მცველთა ზურგს უკან, სისტემატურად უთმობდა ბურთს მასლიონკინს და სრულიადაც არ ცდილა შეეცვალა ადგილი, ან მოეძებნა უკეთესი პოზიცია ცენტრალური თავდამსხმელის ფუნქციების ასე თუ ისე მაინც შესრულებისათვის.

იურიდიულ მოწმედ დაესწრო პირველ ტაიმს მესხი. იგი დემონსტრატიულად იდგა თავის ფრთაზე, არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა თამაშში და სანახაობასავით შესცქეროდა იმას, თუ რა ხდებოდა მინდორზე.

მინდორზე კი ის ხდებოდა, რომ შუამარბები პასიურად იბრძოდნენ ბურთისათვის, ხასაია ეგზავნებოდა მხოლოდ მაღალი ბურთები მაშინ, როცა იქ, „ჰაერში“, სედოვი მდგომარეობის სრული ბატონ-პატრონი იყო.

ინიციატივა მთლიანად და საბოლოოდ სპარტაკელთა მხარეს გადავიდა. პარამონოვმა და ნეტომ საიმედოდ გადაკეტეს მისასვლელები შუა მინდორზე, დაარღვიეს ყოველგვარი ურთიერთმოქმედება მასპინძელთა ხაზებს შორის და დაიწყო „სპარტაკის“ ხანგრძლივი, საფუძვლიანი შტურმი. თავდამსხმელები ფართოდ იყვნენ გაშლილი ერთი ფლანგიდან მეორემდე, ყოველი კომბინაციის გათამაშებისას სულ ცოტა ერთი ფორვარდი მაინც თავისუფალ პოზიციაში იმყოფებოდა (როგორც წესი, სალნიკოვი ან სიმონიანი) და ბურთის გადასაცემად ყოველთვის რჩებოდა რამდენიმე ვარიანტი. ამიტომ „დინამოს“ დაცვა ძნელად ერკვეოდა შექმნილ სიტუაციაში და უჭირდა მოწინააღმდეგის ჩანაფიქრის ამოცნობა.

> თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 10 აპრილი.
>
> „დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) — 1:4 (0:1).
>
> „დინამო“: კვაჭაძე, კოტრიკაძე, სიჭინავა, ხოჭოლავა; ხუნდაძე, ლოლობერიძე, ხასაია, ბარქაია, მელაშვილი (ნორაკიძე), იამანიძე, მესხი.
>
> „სპარტაკი“: ივაკინი; ტიშჩენკო, მასლიონკინი, სედოვი; პარამონოვი, ნეტო; ტატუშინი, მოზერი, სიმონიანი, სალნიკოვი, ილინი.
>
> მსაჯი ნ. კრ: ლოვი (კუიბიშევი).

დიდი ხნის განმავლობაში უტევდნენ სტუმრები მასპინძელთა კარს. მაგრამ იშვიათად და არაზუსტად ურტყამდნენ კარში. ბოლოს, ბურთი მარჯვენა მხრიდან იქნა ჩამოწოდებული მეკარის მოედანზე, კვაჭაძე გამოვიდა წინ, მუშტით მოგერიების ნაცვლად ბურთის ხელში აღება სცადა და იქვე დაუვარდა იგი. სალნიკოვმა თავაზიანად მიიღო ეს „საჩუქარი“ და მშვიდად გახსნა ანგარიში.

კიდევ უფრო აშკარა იყო მოსკოველთა უპირატესობა მეორე ტაიმში. სიმონიანის და სალნიკოვის მანევრებს მინდვრის სიღრმეში ვერაფერი გაუგეს მასპინძელთა მცველებმა და ყოველ მათგანს იჭერდნენ მხოლოდ მაშინ, როცა ბურთი უკვე გადაცემული იყო პარტნიორისაკენ. ასე გავიდა თავისუფალ ზონაში სიმონიანი მე-17 წუთზე და ზუსტად გაგზავნა ბურთი დაბალ კუთხეში — 2:0.

მცირე ხნის შემდეგ „სპარტაკის“ ფარზე უკვე „3“ ეწერა. ეს გოლიც კვაჭაძემ აჩუქა მოსკოველებს: მან ხაზს გარეთ მოიგერია ბურთი და როცა ტატუშინი ბურთისაკენ მირბოდა მისი თამაშში შემოსაყვანად, მეკარე უკნიდან წამოეწია გარემარბს უხეშად გამოსდო ფეხი და წააქცია, საჯარიმო მოედანზე. კვაჭაძემ ვერც მოასწრო რეაგირება სალნიკოვის პენალტზე და დინამოელებმა კვლავ ცენტრიდან დაიწყეს თამაში.

მე-40 წუთზე მოზერმა და ტატუშინმა კუთხური საჯარიმოდან გაითამაშეს კომბინაცია, რომლის დროსაც ილინი სწრაფად გავიდა კართან. მან მიიღო მოზერის გადაცემა და ახლო მანძილიდან შეუფერხებლად გაიტანა მეოთხე ბურთი—4:0.

მატჩის 90-ე წუთზე „სპარტაკის“ კარში გატანილ იქნა ერთი გოლი, მაგრამ ამაში დამსახურება არც ერთ თბილისელს არ მიუძღვის. ივაკინმა მცველების გაუფრთხილებლად დატოვა კარი და როცა მასლიონკინმა თავით მიაწოდა ბურთი უკან, იქ არავინ არ იყო — 1:4.

ასე იქნა წაგებული XX ჩემპიონატის მესამე ტურის მატჩი. საერთო გაოცება გამოიწვია სრულიად უსარგებლო შეცვლამ, თბილისის გუნდში, როცა უიმედოდ წაგებულ თამაშში მინდორზე გამოყვანილ იქნა ნორაკიძე — კომბინაციური სტილის გამთამაშებელი მოთამაშე, თუ გამოცვლაა ასეთ დროს საჭიროა შემტევი, შედეგიანი თავდამსხმელის გამოყვანა, რომელსაც უშუალოდ შეუძლია ბურთის გატანა. რა თქმა უნდა, აღნიშნული შეცვლისას, ნორაკიძე ვერ შეძლებდა თამაშის აწყობას.

არ შეიძლება გვერდი ავუხვიოთ მესხის საქციელს. თუ ამ ახალგაზრდა ფეხბურთელს შეუძლია ისე თამაში, როგორც მან რამდენიმე შემთხვევაში ითამაშა მეორე ტაიმში, რატომ იზოგავს იგი თავს? განა დასასვენებლადაა ამოსული რბილი ბალახი მინდვრის მარცხენა ფრთაზე? როგორ შეიძლება სპორტსმენს შეეძლოს სარგებლის მიცემა თავისი კოლექტივისათვის და არ გააკეთოს ეს მხოლოდ სიზარმაცის გამო.

გათამაშება სულ ახლახან დაიწყო. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები ჯერჯერობით მეტად სუსტად თამაშობენ. სანამ დროა, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ სრულიად არ დავკარგოთ ის, რაც ქართულ ფეხბურთს მოუპოვებია ათეული წლების მანძილზე.

ბ. ქორქია

• • •

ხ უ რ ა თ ზ ე: მეტად დამახასიათებელი მომენტი განვლილი თამაშიდან. ხასაია სისტემატურად აგებდა ბრძოლას მაღალი ბურთისათვის სედოვთან, მას კი მეტწილად სწორედ ასეთ ბურთებს აწვდიდნენ.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 13 აპრილისათვის ძირითადი შემადგენლობანი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ | 4 | 2 | 2 | 0 | 10:4 | 6 |
| „ლოკომოტივი“ | 4 | 1 | 3 | 0 | 4:1 | 5 |
| „დინამო“ მ. | 4 | 2 | 1 | 1 | 9:3 | 5 |
| „დინამო“ კ. | 4 | 1 | 3 | 0 | 10:6 | 5 |
| „ტორპედო“ | 4 | 1 | 3 | 0 | 8:6 | 5 |
| ცსკ მო | 3 | 2 | 0 | 1 | 7:3 | 4 |
| „შახტიორი“ | 4 | 2 | 0 | 2 | 3:5 | 4 |
| „კრ. სოვეტოვი“ | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| „დინამო“ თბ. | 3 | 1 | 0 | 2 | 4:11 | 2 |
| „ზენიტი“ | 3 | 0 | 2 | 1 | 0:1 | 2 |
| „მოლდოვა“ | 3 | 0 | 1 | 2 | 2:8 | 1 |
| „ადმირალტეეცი“ | 3 | 0 | 0 | 3 | 3:12 | 0 |

• • •

⊙ ოდესა. 10 აპრილი. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ „დინამო“ (მოსკოვი)-„ადმირალტეეცი“ (ლენინგრადი).

მატჩი მოიგეს დინამოელებმა—3:1.

⊙ კიშინიოვი. 10 აპრილი. ადგილობრივმა „მოლდოვამ“ თავის მინდორზე მიიღო ცსკ მო.

არმიელებმა მოწინააღმდეგე დაამარცხეს ანგარიშით 4:0.

⊙ კიევი. 10 აპრილი. რესპუბლიკურ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ კიევის „დინამო“ და მოსკოვის „ლოკომოტივი“.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

⊙ სტალინო. 10 აპრილი. ლენინგრადის „ზენიტი“ აქ შეხვდა ადგილობრივ „შახტიორს“.

ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა „შახტიორმა“.

## ჩვენი გულითადი მადლობა

ეს იყო პატარა, მაგრამ ლამაზი და დაუვიწყარი ზღაპარი. ეს იყო სწრაფმავალ ექსპრესში გატარებული ოთხი დღე და ჩრდილოეთის სუსხის ჯადოქრული გარდაქმნის ამბავი სამხრეთის წალკოტად. ჩვენ, ლიტველი მძლეოსნები ვტოვებდით მშობლიურ მიდამოებს, თოვლით დახუნძულ ხეებს, გადათეთრებულ ტრამალებს და წარმოდგენილი არ გვქონდა, რა სასიამოვნო სიურპრიზს გვიმზადებდა მადლიანი საქართველოს ბუნება და მისი ულამაზესი კუთხე ბათუმი.

გაგონილს ნანახი სჯობიაო ნათქვამია. ჩვენ ბევრი რამ გვქონდა გაგონილი შავი ზღვის სანაპიროს სილამაზეზე, მის ენით აუწერელ მშვენებაზე, მაგრამ ის, რაც საკუთარი თვალით ვნახეთ, ნამდვილი საოცრება იყო. რამდენიმე საათი დავყავით ცნობილ ბოტანიკურ ბაღში. ამ მცირე დროის განმავლობაში ჩვენ მოვასწარით მსოფლიოს ყველა კუთხეში ყოფნა: ავსტრალიის ტროპიკებში, აფრიკის ჯუნგლებში, ინდონეზიის ლანდშაფტში, იაპონიისა და ცეილონის კუნძულებზე და შემდეგ კვლავ შავი ზღვის ლაჟვარდოვან ნაპირზე.

დაუვიწყარია ჩვენთვის ქობულეთის მშვენიერი პეიზაჟები, ჩაის და ციტრუსების თვალშეუვლები პლანტაციები, რამდენ შრომას, რამდენ ენერგიას მოითხოვს ამ სიმდიდრის მოვლა-პატრონობა, მაგრამ ამავე დროს რამდენად სასიამოვნო და საამაყოა მისი მადლიანი ნაყოფი.

ბათუმი მშვენიერია, ბათუმი წარმტაცია. არასდროს დაგვავიწყდება მისი ნათელი და სუფთა ქუჩები, ლამაზი სახლები, მწვანეში ჩაფლული პარკები და სტუმართმოყვარე მოქალაქეები — მოძმე საქართველოს მუდამ მხიარული და გულღია ადამიანები.

სულ რამდენიმე დღე დასჭირდა ჩვენს „გაქართველებას“ და ალბათ დიდი ხანი გაივლის, ვიდრე „პირამდე სავსე“ შთაბეჭდილებებს რაიმე დააკლდება. ყოველი ჩვენთაგანი ბათუმში თავს გრძნობდა ისე, როგორც მახლობელი ადამიანებით გარემოცულ საკუთარ სახლში. ასე იყო ქუჩებში, როდესაც სტადიონისაკენ მივდიოდით სავარჯიშოდ, ასე იყო ყოველთვის, როდესაც ვათვალიერებდით ქალაქს და ასე იყო მაშინაც, როდესაც გამოვდიოდით საქართველოს მძლეოსნების წინააღმდეგ მატჩის დროს. ხალხი გულთბილად რეაგირებდა ყოველ ჩვენს წარმატებაზე და ჩვენ მძლეოსნებს ეს მეგობრული და გულთბილი მხარდაჭერა ახალ ძალებს გვმატებდა.

შეჯიბრებამ ორი მოძმე რესპუბლიკის სპორტსმენებს შორის ჩაიარა ისე, როგორც ეს იყო მოსალოდნელი. თქმა არ უნდა, მეგობრობის მატჩმა ორივე მხარეს დიდი სარგებლობა მოუტანა. ჩვენ, ლიტველი სპორტსმენები და მწვრთნელები კმაყოფილები ვართ შედეგებით. მართალია, მეტის გაკეთებაც შეიძლებოდა, მაგრამ სეზონის დასაწყისისათვის ის შედეგები, რაც ვაჩვენეთ, არ უნდა იყოს ცუდი. ყოველ შემთხვევაში ორთავე მხარემ ერთ მთავარ მიზანს მიაღწია — კიდევ უფრო მეტად განამტკიცა ორი მოძმე რესპუბლიკის სპორტსმენთა მეგობრობა.

მოუთმენლად გელით ძვირფასო ქართველო სპორტსმენებო ჩვენს მშობლიურ ლიტვაში.

ა. კარპავიჩუსი,
ლიტვის სახელმწიფო მწვრთნელი მძლეოსნობაში,

გ. ასტრაუსკასი,
ნაკრები გუნდის წევრი.



ვილნიუსის ახალგაზრდული სპორტული სკოლის მწვრთნელი ვიქტორ ბარკალაია წარსულში კარგი მძლეოსანი იყო. მას ეკუთვნოდა ლიტვის ორი რეკორდი ბადროსა და უროს ტყორცნაში. ხოლო როდესაც ვიქტორ ბარკალაიამ თავი დაანება სატყორცნ სექტორს, იგი ლიტვის სპორტული მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე გახდა.

ვიქტორ ბარკალაიამ აღზარდა ბევრი ნიჭიერი მძლეოსანი, რომელთა შორის განსაკუთრებით გაითქვა სახელი საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა და რეკორდსმენმა იონას პიპინემ. დაუღალავი მწვრთნელის აღსაზრდელები დღეს წარმატებით გამოდიან ლიტვის მძლეოსანთა ნაკრებ გუნდში. ესენი არიან: ზაიკინა, მიკენასი, ჟადვიდასი, ასტრაუსკასი და სხვები.

სპეციალობით ექიმი ვიქტორ ბარკალაია პირველი მწვრთნელია მძლეოსნობაში (ლიტვაში), რომელსაც მიენიჭა საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

• • •

ხ უ რ ა თ ზ ე: ვიქტორ ბარკალაია (მარცხნივ) შეჯიბრების წინ ესაუბრება საბჭოთა კავშირის ჩემპიონსა და რეკორდსმენს იონას პიპინეს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## მასობრივად ცეცხლის ხაზზე

ამ დღეებში მოეწყო შეჯიბრება ქობულეთის რაიონულ პირველობაზე მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში. მონაწილეობდა 44 გუნდი, რომელთა შორის 3 ქალთა კოლექტივი იყო. გუნდური პირველი ადგილი დაიკავა ა. წერეთლის სახელობის ქობულეთის I საშუალო სკოლის პირველმა გუნდმა, რომელიც მასწავლებლებით იყო დაკომპლექტებული. მეორე ადგილზე გამოვიდა ამავე სკოლის ვაჟთა კოლექტივი.

ქალთა შორის პირველი ადგილი მოიპოვეს ამავე სკოლის სპორტსმენებმა. პირად შეჯიბრებაში ზუსტი სროლის ნიმუშები გვიჩვენეს პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელმა გ. ჩახუნაიშვილმა; ბობოყვათელებმა მ. კაჭახიძემ, შ. მახაძემ და სხვებმა.

უ. ტრაპაიძე.

## ორი თარიღის აღსანიშნავად

კარგი ტრადიცია დამკვიდრდა თბილისის მოწინავე საწარმოების — ელმავალმშენებელი და „პლასტმასის“ ქარხნის ფიზკულტურელებს შორის — სამატჩო შეხვედრებით აღნიშნონ ღირსშესანიშნავი თარიღები.

ამას წინათ ელმავალმშენებელი ქარხნის ფიზკულტურელებს ესტუმრენ „პლასტმასის“ ქარხნის ფრენბურთელები, მოჭადრაკეები და მაგიდის ჩოგბურთელები. ფრენბურთსა და ჭადრაკში გაიმარჯვეს სტუმრებმა, ხოლო მაგიდის ჩოგბურთში — მასპინძლებმა. სამატჩო შეხვედრები მიეძღვნა კომკავშირის მე-40 და თბილისის 1500 წლისთავს.

გ. ხიდეშელი.



## ჩემპიონის სახელისათვის

გათამაშდა IV და V ტური. ჩემპიონატს სათავეში ჩაუდგა ბათუმელი ჩაიკოვსკაია, რომელმაც ყველა (ხუთი) პარტია მოიგო. ნიჭიერი მოჭადრაკე ენერგიულად თამაშობს. აღსანიშნავია მისი პარტია კამენკოვიჩთან, რომელშიც მან გონებამახვილურად გამოიყენა მოწინაალმდეგის ბანაკში შავი უჯრების სისუსტე.

ლიდერს ერთი ქულით ჩამორჩებიან ე. კაკაბაძე და მ. ტოგონიძე. გოგიავასთან კაკაბაძის კარგად მოგებული პარტია ცხადყოფს, რომ იგი უკვე შედის ფორმაში. მ. ტოგონიძეს ორი ძნელი პარტია ჰქონდა. [illegible]სთან მან მოგება [illegible], მაგრამ ბოლოს [illegible] დარჩა ზავის ტოლებით. კამენკოვიჩთან კი იგი წამით „დაბრმავდა" და ხარისხი დაკარგა. სამაგიეროდ შემდგომი თამაშით, რომელიც ქების ღირსია, მან ყაიმს მიაღწია.

საინტერესოა ამ მოჭადრაკეების ერთმანეთთან შეხვედრები, რომლებიც უახლოეს ტურებში მოხდება.

სხვა მოჭადრაკეების თამაშებიდან აღსანიშნავია ხაჭაპურიძის მოულოდნელი დამარცხება ბერიშვილთან. გამოისწორა მდგომარეობა ბუცხრიკიძემ, რომელმაც მოუგო ხუბუასა და ყაიმით დაამთავრა პარტია ფანქველაშვილთან. საინტერესო მოჭადრაკეა მუხრანელი მოსწავლე ხუბუა, რომელიც აგრესიული სტილის წარმომადგენელია. ალბათ ამიტომაა, რომ მან თეთრებით ყველა პარტია მოიგო, ხოლო შავებით — წააგო.

იმის გამო, რომ ჩემპიონატი მოკლე დისტანციისაა (სულ XIII ტური გათამაშდება) და ამ ტურნირიდან საკავშირო პირველობაში დაიშვება ორი გამარჯვებული (ე. კაკაბაძის გარდა) ყოველ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ბრძოლა ჩემპიონატში სულ უფრო მძაფრი ხდება.

**თ. გიორგაძე**

---

ჩვენ გვწერენ

## უსახსრებოდ დაწყებული მშენებლობა

ონის რაიონს არა ერთი და ორი ცნობილი მოჭიდავე აღუზრდია. აქ მიიღეს პირველი სპორტული ნათლობა სხირტლაძემ, გობეჯიშვილმა, მაისურაძემ, დაუშვილმა, გვიმრაძემ და სხვებმა, რომლებიც მრავალჯერ გამოსულან წარმატებით საკავშირო სარბიელზე. ცხადია, დროული და მისასალმებელი იყო „კოლმეურნეს" ცენტრალური საბჭოს წამოწყება ამ რაიონში საჭიდაო დარბაზის მშენებლობის შესახებ, რაც საგრძნობლად შეუწყობდა ხელს სპორტსმენთა ახალი თაობის აღზრდას.

ეს იყო 1956 წელს. ხელშეკრულებით დარბაზის მშენებლობის დამთავრება ნავარაუდევი იყო 1957 წლისათვის, ამასთან „კოლმეურნეს" ცენტრალურ საბჭოს მშენებლობისათვის უნდა გამოეყო სახსრები და სამშენებლო მასალა. ჩავყარეთ დარბაზის საძირკველი და საქმეც დამთავრდა, ცენტრალური საბჭოს ხელმძღვანელებს დაავიწყდათ, რომ დაწყებულ საქმეს ბოლომდე უნდა მიყვანა, არსად ჩანს შეპირებული მასალა, თანხა.

როდემდე უნდა გაგრძელდეს უფულოდ და უმასალოდ დაწყებული მშენებლობა? რას გვიპასუხებს ამაზე ცენტრალური საბჭო?

**ზ. ჯაფარიძე.**

**ფიზკულტურისა და სპორტის ონის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.**

---

## მეპატიჟებით ევერესტსა და ჰიმალაიზე

**10** აპრილს თბილისიდან გამგზავრების წინ, ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში გამოჩენილმა ინგლისელმა მთამსვლელმა ჩარლზ ევანსმა თავისი შთაბეჭდილებები გამოთქვა საქართველოში ყოფნასთან დაკავშირებით. მან განაცხადა:

საქართველომ, თბილისმა, სტუმართმოყვარე ქართველი ადამიანების, კერძოდ კი, ჩემი კოლეგების გულთბილმა შეხვედრამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ყველგან, სადაც კი მე ვიყავი, ვგრძნობდი მეგობრობის სითბოსა და კეთილგანწყობას.

მე, როგორც ალპინისტს, მსურს განსაკუთრებით შევჩერდე იმ საკითხებზე, რომლებშიც უფრო კომპეტენტური ვიქნები — საქართველოში მთამსვლელობის განვითარებისა და მისი თანამედროვე მდგომარეობის საკითხებზე, რაც უფრო მეტად, პირველად მიღებული შთაბეჭდილების გამოთქმა იქნება.

ჩემზე მეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დარვაზის ქედის ტრავერსმა, რომლებშიც ქართველ ალპინისტებს ოქროს მედლები რგებიათ და რომელსაც მე დოკუმენტური ფილმით — „შვიდი მწვერვალის დაპყრობა" და ქართველ ალპინისტებთან საუბრის მეოხებით გავეცანი. ამ ტრავერსის შესახებ მე ადრეც მსმენია ზოგი რამ. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო ამ ტრავერსის სწორი ორგანიზაციული და ტაქტიკური ჩანაფიქრი და მისი კარგი განხორციელება.

ჩემის აზრით, ეს იყო ყველაზე უფრო რთული ღონისძიება, რომელიც განახორციელეს ქართველმა მთამსვლელებმა სიმაღლოვან ასვლებში. ეს არის პირველი **6000** მეტრზე უფრო მაღალი მწვერვალების ტრავერსი, რომელსაც მე ვიცნობ. ასეთი ტრავერსები ჩვენ დასავლეთის მთამსვლელებს არასდროს არ ჩაგვიტარებია, თუ არ ჩავთვლით ფრანგი ალპინისტების ცდას ტრავერსით გაევლოთ ჰიმალაის მთებში ნანდა-დევის ორი მწვერვალი. ეს ცდა, სამწუხაროდ, კატასტროფით დამთავრდა. ამიტომ, სიმაღლოვანი ტრავერსების იდეა და მისი განხორციელება ჩვენთვის, დასავლეთის ალპინისტებისათვის ახალი, რთული და ორიგინალური რამ არის, უნდა ვთქვა, რომ ყოველი ცალკეული მწვერვალის დაპყრობა, რაგინდ მაღალი და ძნელი არ უნდა იყოს ის, ტრავერსთან შედარებით უფრო ადვილი და იოლად განსახორციელებელია. მე იმედი მაქვს, რომ თქვენ ამ გაბედულ ალპინისტურ სახეობას საბჭოთა კავშირის საზღვრებს გარეთაც გაიტანთ და კერძოდ, ევერესტსაც შეეჭიდებით.

დარვაზის ქედის ტრავერსის წარმატებით განხორციელება გვიჩვენებს ქართველ მთამსვლელთა მომზადების ისეთ მაღალ დონეს, რომელიც ნებას აძლევს მათ ხელი მოჰკიდონ ისეთ რთულ ღონისძიებას, როგორიც არის ევერესტის ტრავერსი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ.

ცხადია, ეს მოითხოვს ძალიან დიდ მოსამზადებელ მუშაობას. ბანაკები უნდა შეიქმნას როგორც ჩრდილოეთის მისადგომებზე, ტიბეტის ტერიტორიაზე, ისე ნეპალის მხრიდან ქხუმბუს ყინვარზე. მაგრამ მე არ შევცდები, თუ ვიტყვი მეტს. ჩემის აზრით, ქართველ მთამსვლელებს შეუძლიათ დაისახონ კიდევ უფრო რთული ამოცანა. ეს არის ევერესტის შემხვედრი ტრავერსი. როდესაც ერთი ჯგუფი გადაივლის მწვერვალს სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, ხოლო მეორე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ისე. რომ ჯგუფები ერთმანეთს შეხვდნენ მწვერვალის რაიონში. საამისო წინამძღვრები თქვენ უკვე შექმნილი გაქვთ: სიმაღლეებზე ყოფნის გამოცდილება, აკლიმატიზაცია, ალპინისტურ ლაშქრობათა კარგი ორგანიზაცია. ოღონდ, 8-ათასიან და მეტ სიმაღლეებზე შტურმისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჟანგბადის პრობლემას.

შეკითხვაზე ნანდა-დევის კატასტროფის მიზეზების შესახებ, ჩარლზ ევანსმა უპასუხა, რომ ძირითადი მიზეზი, მისი აზრით, იყო ფრანგ მთამსვლელთა, რომელ...აც ის ამჟამად მსოფლიოში უძლიერესებად თვლის, საკმაო მოუმზადებლობა ისეთი რთული ღონისძიებისათვის, როგორიც არის **6000** მეტრზე უფრო მაღალი მწვერვალების ტრავერსი, კერძოდ, მათი ფსიქიკური მოუმზადებლობა და აგრეთვე არაჯანსაღი მეტოქეობა ასვლის დროს პარიზელ და ლიონელ მთამსვლელებს შორის.

შეკითხვაზე მისი მომავალი გეგმების შესახებ, ჩარლზ ევანსმა განაცხადა, რომ მიმდინარე წელს ის იწყებს მუშაობას როგორც ქირურგი ინგლისის ერთ-ერთ უმაღლეს სამედიცინო სასწავლებელში, ხოლო მომავალ წელს ბედნიერი იქნება, თუ მიეცემა საშუალება მოახდინოს ასვლები კავკასიონზე. კერძოდ, მას ძალიან აინტერესებს უშბა და მისი მწვერვალების ტრავერსი, ან ასვლა რომელიმე კედლით. ამასთანავე მან განაცხადა, რომ ქართველ ალპინისტებთან ერთად ლაშქრობა მიმზიდველი პერსპექტივაა. თქვენი მთების შორიდან გაცნობამ, თქვა მან, კიდევ უფრო სასურველი გახადა ეს პერსპექტივაც და ამ მთების უფრო ახლო გაცნობაც. მე გადაწყვეტილი მაქვს უახლოეს წლებში, თუ კი ამის უფლებას დამრთავენ ქართველი ალპინისტები, მათთან ერთად, მათ მხარდამხარ ვიარო კავკასიონის მწვერვალებზე.

ჩემის მხრივ, მე გეპატიჟებით „ჩვენს" მწვერვალებზე და ქედებზე — ჰიმალაიზე და ევერესტზე და დარწმუნებული ვარ, რომ იქ თქვენ წარმატება მოგელით. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი მამაცი ალპინისტური ახალგაზრდობა, ახალი თაობა, რომელიც ასე გაბედულად ეპიდება მთებს, გაცილებით უფრო მაღალ მწვერვალებს დაიპყრობს, ვიდრე ჩვენი თაობა.

და ბოლოს, განაცხადა ჩ. ევანსმა, თქვენი მომავალი გამარჯვების მტკიცე გარანტია და სიმბოლო თუნდაც თქვენი „მრავალჟამიერია" — ხანგრძლივი, ბედნიერი და ამაყი სიცოცხლის ჰიმნი. მე პატივი მქონდა მომესმინა ის და ძალიან მომეწონა. მე გისურვებთ ასეთ სიცოცხლეს, ცხოვრების სიდიადის შეგრძნებას ახალ-ახალი სიმაღლეების დაპყრობასაც ახმარდეთ მრავალჟამიერ!

სურათზე: ჩ. ევანსს, სპორტის ოსტატი მ. უთმელიძე და სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ჯაფარიძე (მარჯვნივ) ლექციის დამთავრების შემდეგ გადასცემენ ცოცხალი ყვავილების კალათს.

---

## ჰიბსონი გამოდის კაბარეში

უიმბლდონის ტურნირში ზანგი ჩოგბურთელი ქალის ჰიბსონის გამარჯვება — შესანიშნავი სპორტსმენის წარმატებათა ლოგიკური ფინალი იყო. მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად 30 წლის ჩემპიონმა, რომელსაც ამ ტიტულს ალბათ მრავალი წლის მანძილზე ვერ ჩამოართმევდნენ, თავი დაანება სპორტს. გამოირკვა, რომ იგი ვერ გაუძლო რვა სულისაგან შემდგარ ოჯახს და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გადაწყვიტა კაბარეში გამოსვლა ამბობენ მას აქაც წარმატება ექნებაო, რადგან ჰიბსონს თურმე შესანიშნავი ხმაც ჰქონია.

---

## ხარვეზები სძლევენ წარმატებას

გასულ წელს ერთგვარი წარმატებები მოიპოვეს საქართველოს სპარტაკელებმა, მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების წევრთა რაოდენობა, გადაჭარბებით შესრულდა თანრიგოსანთა და ნიშნოსანთა მომზადების გეგმები. რესპუბლიკურ და საკავშირო ღონისძიებებზე დამყარებულ იქნა საბჭოს 35 ახალი რეკორდი და სხვ. მაგრამ ხარვეზები სძლევენ წარმატებებს.

არტელების უმეტესობაში დღემდე ვერ შექმნეს სათანადო რაოდენობის ინსტრუქტორ-მეთოდისტების მომზადება, საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვა, რის გამო ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება რეგულარულად მხოლოდ 41 კოლექტივში ტარდება.

მოუქნელად, მუშაობენ რაისაბჭოების უმეტესობა. ბევრგან არ ჩატარდა ანგარიშგება არჩევნები. ბორჯომისა და ცხაკაიას რაისაბჭოებს სენად გადაექცათ ნაკრები ანგარიშების დიდი დაგვიანებით წარმოდგენა რესპუბლიკურ საბჭოში. ჩარმან უფრო შორს წავიდნენ ქუთაისისა და აფხაზეთის რაისაბჭოები. ქუთაისელებმა ნაკრებ ანგარიშში უჩვენეს თითქოს მშთ პირველ საფეხურზე მოემზადებინათ 1442 კაცი, სინამდვილეში კი ეს რიცხვი, როგორც ქუთაისის ფიზკულტურის ქალაქკომის ბრძანებით დასტურდება 32-ს არ გასცილებია, ხოლო მშთ II საფეხურზე 28-ის ნაცვლად ნაკრებ ანგარიშში აჩვენეს 150 (?). ასე არ გაუბერიათ რიცხობრივი მონაცემები აფხაზეთის რაისაბჭოში, მაგრამ ქუთაისელ კოლეგებს ვერც მათ უღალატეს და მშთ I საფეხურზე უჩვენეს 68, მაშინ როცა ნორმატივი ჩაბარებული ჰქონდა 36 ფიზკულტურელს, ხოლო მშთ II საფეხურზე — 26-ის ნაცვლად უჩვენეს — 50.

თვალისახვევის ცდის ეს ფაქტები განაპირობა იმან, რომ რაისაბჭოები თავს არ იწუხებენ მასობრივ-სპორტული ღონისძიებების ჩატარებით, რაც საშუალებას მისცემდა მათ არა მარტო ნამდვილად შეესრულებინათ ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების გეგმები, არამედ სათანადო შევსება მიეცათ რესპუბლიკური საბჭოს ნაკრები გუნდებისათვის.

ველოსპორტში კარგი ტრადიციები ჰქონდა აფხაზეთს და აჭარას გასულ წელს კი აფხაზეთიდან რესპუბლიკურ ნაკრებში შეყვანილ იქნა ერთი სპორტსმენი. აჭარის საბჭოს თავმჯდომარემ ს. ლოგინოვამ კი მთლიანად გააუქმა სექცია და ველოსიპედები გაყიდა.

არავითარი ყურადღება არ ექცევა სასწავლო სპორტულ მუშაობას ბორჯომში, თელავში, მახარაძეში, ცხაკაიაში.

მუშაობაში არსებული ეს და სხვა მთელი რიგი ნაკლოვანებანი მხილებული იქნა ამას წინათ გამართულ „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს პლენუმზე, სადაც „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს 1957 წლის მუშაობის შესახებ და რესპუბლიკური საბჭოსა და ცენტრალური საბჭოების IV სპარტაკიადისათვის მზადების შესახებ მოხსენებით გამოვიდა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. რობაქიძე.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა ს. ლოგინოვამ (აჭარა), სპორტის ოსტატმა ა. ხაბურზანიამ (მწვრთნელი ველოსპორტში), ს. სიჭინავამ (აფხაზეთი), ტურაბელიძემ (ქუთაისი), შ. ბუაძემ (არტელი „რემობუვი"), რ. ჯიქიამ (ცხაკაია) და სხვებმა ილაპარაკეს, აგრეთვე ცენტრალურ სექციებში სუსტი დისციპლინის შესახებ, რომ ხშირად აქვს ადგილი მეცადინეობების გაცდენას ფარიკაობის, მძლეოსნობის, ტანვარჯიშის სექციებში, საზოგადოებრივი კადრების დაუტვირთაობაზე, ჩამორჩენაზე საწევრო ანარიცხების შეგროვების საქმეში ან თანხის არადანიშნულებისამებრ გამოყენებაზე, ბაზების სიმცირეზე.

აქვე გამოირკვა, რომ რესპუბლიკური საბჭოს მუშაკები იშვიათად დადიან რაისაბჭოებში, ძირეულ კოლექტივებში დახმარების გასაწევად და სხვ. მაგრამ თითქმის არაფერი თქვეს ან ძალზე ცოტა. ილაპარაკეს იმ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებისათვის მზადების შესახებ, როგორიცაა რესპუბლიკური და ცენტრალური საბჭოს IV სპარტაკიადა. მით უმეტეს იგი დღის წესრიგის პირველი პუნქტის შემადგენელი ნაწილი იყო.

არც თუ ისე დიდი დროა დარჩენილი საზოგადოების საკავშირო სპარტაკიადამდე, რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რათა გამოავლინონ ნიჭიერი სპორტსმენები და სათანადო შევსება მისცენ რესპუბლიკურ ნაკრებს ხალხთა II სპარტაკიადისათვის.

**რედაქტორი ი. უზულავა**

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორის — 8 89 62. პ.-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 8-90 84, მორიგისა და გამომშვების — 8-01 06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02430